

შპს „ევრო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2017
წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	16
4. ძირითადი საშუალებები	17
5. მარაგები	17
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18
7. ფული და ფულის ეკვივალენტები	18
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
9. შემოსავალი	19
10. სხვა შემოსავალი	19
11. სხვა საოპერაციო ხარჯები	19
12. ზარალი საკურსო სხვაობიდან	20
13. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	20
14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	23
15. პირობითი ვალდებულებები	24
16. ბალანსის შემდგომი მოვლენები	24

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ევრო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯიას“ დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს „ევრო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯიას“ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ჩვენ ჩავატარათ შპს „ევრო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯიას“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (შემდგომში კომპანია), რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე, მისი საქმიანობის შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და თანდართული შენიშვნებით, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების ჩათვლით.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ დავაკვირდით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარებული ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციას, რადგანაც კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ აღნიშნული თარიღის შემდგომ. კომპანიის ძირითადი საშუალებების სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ვერ მოხერხდა საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების აღება ზემოთ მოცემულ თარიღში ძირითადი საშუალებების რაოდენობრივ და ხარისხობრივ სისწორეზე. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ დავაკვირდით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარებული მარაგების ინვენტარიზაციას, რადგანაც კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ აღნიშნული თარიღის შემდგომ. კომპანიის მარაგების სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ვერ მოხერხდა საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების აღება ზემოთ მოცემულ თარიღში მარაგების რაოდენობრივ და ხარისხობრივ სისწორეზე. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით.

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობები ამ სტანდარტის შესაბამისად აღწერილია აუდიტორთა პასუხისმგებლობების აბზაცში. ჩვენ შევასრულეთ ეთიკის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოში მოქმედი ეთიკის მოთხოვნები და ვართ დამოუკიდებელნი კომპანიისგან.

ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ანგარიშგების მოსამზადებლად მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობა და წარადგინოს საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე თუ არ აპირებს კომპანიის ოპერაციების შეჩერებას ან ლიკვიდაციას.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური რეპორტირების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენი მიზანია ჩავატაროთ აუდიტი იმგვარად, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის იმის გარანტი რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის უზრუნველყოფს, რომ იგი აღმოაჩენს არსებით უზუსტობას მისი არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ითვლება, რომ იგი მატერიალურია, თუ ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად, მოსალოდნელია რომ გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტის ნაწილი, ჩვენ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის მანძილზე. ჩვენ, ასევე:

- ვუკეთებთ იდენტიფიცირებას და ვაფასებთ პოტენციური უზუსტობების რისკს ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით, ვატარებთ აღნიშნული რისკების შესაბამის გამანეიტრალებელ პროცედურებს და ვიდებთ საკმარის და სათანადო აუდიტორულ მტკიცებულებას მოსაზრების გამოსახატად. თაღლითობით გამოწვეული მატერიალური უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეულის, რადგანაც თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს დოკუმენტების გაყალბებას, გამიზნულ გამორჩენებს ანდაც შიდა კონტროლების უგულებელყოფას
- ვსწავლობთ შიდა კონტროლის პროცედურებს, რომლებიც აუდიტისთვის არის მნიშვნელოვანი, რათა დავგეგმოთ შესაბამისი აუდიტორული პროცედურები და არა კომპანიის შიდა კონტროლის გარემოს ეფექტურობაზე მოსაზრების გამოსახატავად
- ვაფასებთ კომპანიის მიერ გამოყენებულ საბუღალტრო პოლიტიკებსა და შეფასებებს და მენეჯმენტის მიერ გაკეთებულ შესაბამის განმარტებით შენიშვნებს ანგარიშგებაში
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გაკეთებულ შეფასებას საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებით
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, რათა ისინი სამართლიანად ასახავდნენ მოვლენებსა და ტრანზაქციებს
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

ივანე ჟუჟუნაშვილი

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

24 მაისი, 2018

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური რეპორტირების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენი მიზანია ჩავატაროთ აუდიტი იმგვარად, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის იმის გარანტი რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის უზრუნველყოფს, რომ იგი აღმოაჩენს არსებით უზუსტობას მისი არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ითვლება, რომ იგი მატერიალურია, თუ ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად, მოსალოდნელია რომ გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტის ნაწილი, ჩვენ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის მანძილზე. ჩვენ, ასევე:

- ვუკეთებთ იდენტიფიცირებას და ვაფასებთ პოტენციური უზუსტობების რისკს ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით, ვატარებთ აღნიშნული რისკების შესაბამის გამანეიტრალებელ პროცედურებს და ვიღებთ საკმარის და სათანადო აუდიტორულ მტკიცებულებას მოსაზრების გამოსახატად. თაღლითობით გამოწვეული მატერიალური უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეულის, რადგანაც თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს დოკუმენტების გაყალბებას, გამიზნულ გამორჩენებს ანდაც შიდა კონტროლების უგულებელყოფას
- ვსწავლობთ შიდა კონტროლის პროცედურებს, რომლებიც აუდიტისთვის არის მნიშვნელოვანი, რათა დავგეგმოთ შესაბამისი აუდიტორული პროცედურები და არა კომპანიის შიდა კონტროლის გარემოს ეფექტურობაზე მოსაზრების გამოსახატავად
- ვაფასებთ კომპანიის მიერ გამოყენებულ საბუღალტრო პოლიტიკებსა და შეფასებებს და მენეჯმენტის მიერ გაკეთებულ შესაბამის განმარტებით შენიშვნებს ანგარიშგებაში
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გაკეთებულ შეფასებას საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებით
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, რათა ისინი სამართლიანად ასახავდნენ მოვლენებსა და ტრანზაქციებს
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

ივანე ქუყუნაშვილი

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

24 მაისი, 2018

შპს „ვერო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2016
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	44,820,189	35,143,159
არამატერიალური აქტივები		24,417	32,374
სულ გრძელვადიანი აქტივები		44,844,606	35,175,533
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	5	866,592	768,226
გაცემული სესხი		30,000	70,000
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	4,855,980	3,332,643
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	136,314	422,862
სულ მიმდინარე აქტივები		5,888,886	4,593,731
სულ აქტივები		50,733,492	39,769,264
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი		200	200
გაუნაწილებელი მოგება		18,011,894	12,635,738
სულ საკუთარი კაპიტალი		18,012,094	12,635,938
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	32,721,398	27,133,326
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		32,721,398	27,133,326
		50,733,492	39,769,264

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 24 მაისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	_____	რ. ვალჩივა
ბუღალტერი	_____	მ. ხაჩიძე

9-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.


შპს „ერო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“
 ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარში)

	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2016
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	44,820,189	35,143,159
არამატერიალური აქტივები		24,417	32,374
სულ გრძელვადიანი აქტივები		44,844,606	35,175,533
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	5	866,592	768,226
გაცემული სესხი		30,000	70,000
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	4,855,980	3,332,643
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	136,314	422,862
სულ მიმდინარე აქტივები		5,888,886	4,593,731
სულ აქტივები		50,733,492	39,769,264
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი		200	200
გაუნაწილებელი მოგება		18,011,894	12,635,738
სულ საკუთარი კაპიტალი		18,012,094	12,635,938
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	32,721,398	27,133,326
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		32,721,398	27,133,326
		50,733,492	39,769,264

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 24 მაისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ბუღალტერი


 _____ რ. ვალერევა

 _____ მ. ხაჩიძე



9-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ევრო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი	9	17,063,345	12,006,079
სხვა შემოსავალი	10	735,248	343,170
სულ		17,798,593	12,349,249
მარაგების შესყიდვის ხარჯი		(576,660)	(578,603)
მარაგების ცვლილება		98,366	164,171
პერსონალის ხარჯები		(646,648)	(403,630)
ცვეთა და ამორტიზაცია		(7,278,046)	(4,992,618)
სხვა საოპერაციო ხარჯები	11	(1,122,230)	(811,416)
საოპერაციო მოგება		8,273,375	5,727,153
საპროცენტო შემოსავალი, ნეტო		13,984	3,328
წმინდა ზარალი საკუროსო სხვაობიდან	12	(2,911,203)	(2,192,864)
მოგება დაბეგვრამდე		5,376,156	3,537,617
მოგების გადასახადის სარგებელი		-	1,529,867
წმინდა მოგება		5,376,156	5,067,484
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი		5,376,156	5,067,484

9-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ევრო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2015	200	7,568,254	7,568,454
წლის მთლიანი სრული მოგება	-	5,067,484	5,067,484
31 დეკემბერი 2016	200	12,635,738	12,635,938
წლის მთლიანი სრული მოგება	-	5,376,156	5,376,156
31 დეკემბერი 2017	200	18,011,894	18,012,094

9-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ევრო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		5,376,156	3,537,617
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		7,278,046	4,992,618
საპროცენტო შემოსავალი, ნეტო		(13,984)	(3,328)
მოგება ძირითადი საშუალების გასვლიდან		(684,678)	(266,965)
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან	12	2,911,203	2,192,864
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		14,866,743	10,452,806
სამუშაო კაპიტალის ცვლილება:			
მარაგების ზრდა		(98,366)	(164,172)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(6,001,340)	(1,533,279)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (შემცირება) / ზრდა		6,857,949	(672,178)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		15,624,986	8,083,177
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		15,624,986	8,083,177
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(16,946,867)	(8,529,135)
ძირითადი საშუალებების გასვლა		1,073,784	682,739
არამატერიალური აქტივების შეძენა		(252)	(11,972)
გაცემული სესხი		-	(100,000)
გაცემული სესხის დაფარვა		40,000	30,000
მიღებული პროცენტები		3,080	5,741
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(15,830,255)	(7,922,627)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა		(205,269)	160,550
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	7	422,862	426,870
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფული და ფულის ეკვივალენტებზე	12	(81,279)	(164,558)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	7	136,314	422,862

9-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ვერო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ვერო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“ (შემდგომში – კომპანია) დაფუძნდა 2007 წლის 10 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ინდუსტრიალიზაციის ქუჩა N 8ა.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შპს ვერო გეიმს ტექნოლოჯი (ბულგარეთი), რომელიც საქმიანობს ბულგარეთის კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სათამაშო სათამაშო აპარატების გაქირავება და თამაშების პროგრამული უზრუნველყოფასთან დაკავშირებით მომსახურების გაწევა.

2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

2.1 მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

გ) საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანია საქართველოში. მენეჯმენტისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

2.2 ახალი ფასს-ების მიღება

ა) 2017 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2017 წლის 1 იანვრისათვის:

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან. 2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტიპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებული ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოდიხ შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ აღნიშნული შესწორებების გამოყენებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები - ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების აღიარების, კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. ის ჩაანაცვლებს ბასს 39-ს, რომელიც უკავშირდება ფინანსური ინსტრუქციების კლასიფიკაციას და გაზომვას.

ფასს 9 ინარჩუნებს, მაგრამ ამარტივებს შერეულ გაზომვის მოდელს და აწესებს სამ ძირითად გაზომვის კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: ამორტიზებადი ღირებულება, რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში და რეალური ღირებულება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივების კლასიფიცირება დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს-მოდელსა და ფინანსური აქტივების საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებზე. ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში იზომება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები სხვა სრულ შემოსავალში. ფასს 9-ში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება და იზომება, გარდა საკრედიტო რისკის ცვლილების აღიარებისა სხვა სრულ შემოსავალში, რომელიც უკავშირდება იმ ვალდებულებებს, რომელიც აისახება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში.

ფასს 9-ში შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უკეთესად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის ზემოქმედების ჰეჯირებისას კომპანიის რისკის მართვის ზომების ხასიათს. ფასს 9 კომპანიას სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩაანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე, აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. გაზრდილია მოთხოვნები კომპანიის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე.

კომპანია აფასებს მომავალში ფასს 9-ის გამოყენების მოსალოდნელ გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფასს 16 იჯარა - ფასს 16 იჯარა ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 ლიზინგი, IFRIC 4 განვსაზღვროთ. შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღურიცხავ საოპერაციო ლიზინგს. სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰგავს დღევანდელ ფინანსური ლიზინგის აღრიცხვის პრინციპს. იჯარით გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარით გამცემი განაგრძობს ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად.

ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან. კომპანია არ გეგმავს ამ სტანდარტის ადრე დანერგვას.

კომპანია აფასებს მომავალში ფასს 16-ის გამოყენების მოსალოდნელ გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2.3 შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	დოლარი	ევრო
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044
კურსი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6468	2.7940

2.4 შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

2.4.1 პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

2.4.2 მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

2.5 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი.

სავაჭრო ვალდებულება საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

2.6 გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

2.7 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წარმოადგენს აქტივთა ჯგუფს, რომლის კონვერტირებაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული ღირებულებით და უმნიშვნელო რისკის მატარებელია ღირებულების ცვლილებების თვალსაზრისით. კომპანიის ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, შეუზღუდავ ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.8 მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წამოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური მოთხოვნები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით, საექვო და უიმედო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხების გამოკლებით.

2.9 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

ძირითადი საშუალების ისტორიული ღირებულება მოიცავს: ა) მისი შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟისა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე; ბ) ნებისმიერ დახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად; გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო იყენებს აქტივს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოებისაგან განსხვავებული საქმიანობისათვის.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

აქტივის ცვეთის თანხა ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

სასარგებლო მომსახურების ვადა (%)	
სათამაშო აპარატები	15%
შენობები	5%
ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა	20%
მანქანები	20%

2.10 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 7 წელი.

2.11 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

2.12 ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხები ისეთი ვალდებულებებია, რომელთა დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის კომპანიის მიმდინარე მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და რომლის დასაფარად მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ მოვალეობას, რის შედეგად კომპანიას არა აქვს, ამ ვალდებულების დაფარვის გარდა, რეალური ალტერნატივა. იურიდიული მოვალეობა არის მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნება ა) კონტრაქტის (კონტრაქტში მოცემული ან ნაგულისხმევი პირობების); ბ) კანონმდებლობის; ან გ) კანონის სხვა მოქმედების შედეგად.

კონსტრუქციული მოვალეობა არის მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის საქმიანობის შედეგად, როდესაც: ა) წარსულში დამკვიდრებული პრაქტიკის, საწარმოს პოლიტიკის ამსახველი გამოქვეყნებული დოკუმენტების ან საკმარისად კონკრეტული მიმდინაე განცხადების საშუალებით კომპანიამ სხვა მონაწილე მხარეებს აჩვენა, რომ იგი მომავალში აღიარებს გარკვეულ ვალდებულებას; და ბ) შედეგად კომპანიამ შექმნა სამართლიანი მოლოდინი იმისა, რომ იგი მხარეთა წინაშე დააკმაყოფილებს ამ ვალდებულებას.

2.13 ფინანსური ინსტრუმენტები

საწყისი აღიარება. ბასს 39-ის – „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ მიხედვით ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს შემდეგი: რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებაში ან ზარალში ასახვით, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია ფინანსურ აქტივებს ყოფს მოცემულ კატეგორიებად, შეძენილი აქტივის დანიშნულებიდან გამომდინარე.

- **რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი, მოგებაში ან ზარალში ასახვით**

ეს კატეგორია შედგება მხოლოდ ფულით წარმოებულებისგან. მათი მაჩვენებლები აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში რეალური ღირებულებით იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ფინანსური შემოსავლის ან ხარჯის ნაწილში. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გარდა, რომლებიც არ ითვლება ჰეჯირების ინსტრუმენტებად, კომპანია არ ფლობს სხვა აქტივებს ვაჭრობისთვის და არც საკუთარი ინიციატივით ახდენს აქტივების კლასიფიკაციას რეალური ღირებულებით მოგებასა ან ზარალში ასახვით.

2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- **დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები**

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებითა და ფიქსირებული დაფარვის ვადით, რომლის დაფარვის ვადამდე შენარჩუნების სურვილი და პოტენციური შესაძლებლობაც გააჩნია კომპანიას. კომპანიას არ გააჩნია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები.

- **სესხები და მოთხოვნები**

ეს აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯებით, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

- **გასაყიდად გამიზნული აქტივები**

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც განიხილება, როგორც გასაყიდად არსებული, ან არ კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით; სესხები და მოთხოვნები; დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები. გასაყიდად გამიზნული აქტივები მოიცავს კომპანიის ინვესტიციებს სხვა საწარმოში, რომელიც არ წარმოადგენს მის შვილობილ კომპანიას, მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოს. გასაყიდად გამიზნული აქტივები აღიარდება რეალური ღირებულებით, რეალურ ღირებულებასთან დაკავშირებული ცვლილება აღიარდება მოგება-ზარალში გროვდება როგორც გასაყიდად გამიზნული აქტივის რეზერვი.

მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები.

როდესაც გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების შემცირება აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში და არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ აქტივი გაუფასურდა, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული აკუმულირებული ზარალი ამოღებულ უნდა იქნეს საკუთარი კაპიტალიდან და უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში, როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ფინანსური აქტივის აღიარება შეწყვეტილი არ იყო.

გასაყიდად განკუთვნილი ფინანსური აქტივების შეძენა და რეალიზაცია აღიარდება ოპერაციის ანაზღაურების დღეს ტრანზაქციის მოხდენის დღესა და თანხის უშუალო გადახდის დღეს შორის აქტივის რეალური ღირებულების ცვლილების აღიარებით გასაყიდად გამიზნულ რეზერვებში. რეალიზაციისას, აკუმულირებული მოგება ან ზარალი, აღიარებული სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რეკლასიფიცირდება გასაყიდად განკუთვნილი რეზერვიდან მოგება-ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები მათი კლასიფიკაციის მიხედვით წარმოდგენილია რეალური ღირებულებით, თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ქვემოთაა აღწერილი:

რეალური ღირებულება განისაზღვრება როგორც ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემისას ჩვეულებრივი ოპერაციისას ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისათვის. რეალური ღირებულება არის მიმდინარე შეთავაზებული ღირებულება ფინანსური აქტივებისათვის ან მიმდინარე მოთხოვნილი ფასი ფინანსური ვალდებულებებისათვის, რომლებიც კოტირებულია აქტიურ ბაზარებზე. ფინანსური ინსტრუმენტი განიხილება როგორც აქტიურ ბაზარზე კოტირებული თუ კოტირებული ფასები შესაძლებელია ადვილად და რეგულარულად მივიღოთ გაცვლით ან სხვა გზით და წარმოადგენს ფაქტიურ ფასს რეგულარულად განხორციელებულ საბაზრო ოპერაციებზე გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით.

თვითღირებულება არის გადახდილი ფული ან ფულის ექვივალენტი, ან უშუალოდ შეძენის მომენტისთვის აქტივის შესაძენად გაწეული სხვა დანახარჯის რეალური ღირებულება, რაც მოიცავს ოპერაციის დანახარჯებს.

2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულება არის ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას გამოკლებული ძირის გადახდები, დამატებული დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის აღნიშნულ ოდენობას აკლდება, ასევე, გაუფასურების ზარალი. დარიცხული პროცენტი მოიცავს ტრანზაქციის ღირებულების ამორტიზაციას, რომელიც გადავადებული იქნა თავდაპირველი აღიარებისას და სხვა ნებისმიერ ზედმეტ ან ნაკლებ გადასახადს ვადის შესაბამისად ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი არ არის ცალე წარმოდგენილი და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის ღირებულებაში.

ტრანზაქციის ხარჯი მოიცავს დამატებით ხარჯებს, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გაცემას ან გასხვისებას. დამატებითი ხარჯია ისეთი ხარჯი, რომელიც არ იქნებოდა გაწეული თუ ტრანზაქცია არ განხორციელდებოდა. ტრანზაქციის ხარჯი მოიცავს გასამრჯელოებსა და საკომისიოებს, რომლებსაც უხდიან აგენტებს (მათ შორის თანამშრომლებს, რომლებიც მოქმედებენ როგორც გაყიდვების აგენტები), მრჩეველებს, ბროკერებსა და დილერებს, მარეგულრებელი ორგანოებისა და საფონდო ბირჟის მიერ დაწესებულ ზეგარას, სატრანსფერო გადასახდსა და ვალდებულებებს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. თუ კომპანია არც გადაცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, კომპანია აღიარებს თავის შენარჩუნებულ ინტერესს აქტივში და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებაში, იმ თანხების ოდენობით, რომელთა გადახდაც მას შეიძლება მოუხდეს. თუ კომპანია ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს, კომპანია აგრძელებს ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს მიღებული თანხებისთვის უზრუნველყოფილ ნასესხებ სახსრებს.

ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

2.14 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესაბამება დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

შპს „ვერო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. კომპანიის მენეჯმენტი სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსხხგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენიარად:

ისტორიული ღირებულება	სათამაშო აპარატები	შენობები	ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა	მანქანები	სულ
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	22,889,006	487,492	104,418	129,959	23,610,875
შემოსვლა	20,084,319	32,227	31,508	149,525	20,297,579
გასვლა	(655,221)	(6,484)	(5,753)	-	(667,458)
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	42,318,104	513,235	130,173	279,484	43,240,996
შემოსვლა	17,576,142	13,308	75,620	139,285	17,804,355
გასვლა	(1,399,126)	-	(13,293)	(24,726)	(1,437,145)
	-	-	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	58,495,120	526,543	192,500	394,043	59,608,206
დაგროვილი ცვეთა					
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(3,193,413)	(39,904)	(35,874)	(61,135)	(3,330,326)
2016 წლის ცვეთა	(4,810,914)	(24,766)	(20,845)	(51,964)	(4,908,489)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	137,628	-	3,350	-	140,978
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(7,866,699)	(64,670)	(53,369)	(113,099)	(8,097,837)
2017 წლის ცვეთა	(7,150,433)	(26,118)	(27,593)	(65,693)	(7,269,837)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	554,978	-	282	24,397	579,657
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(14,462,154)	(90,788)	(80,680)	(154,395)	(14,788,017)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2016	34,451,405	448,565	76,804	166,385	35,143,159
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2017	44,032,966	435,755	111,820	239,648	44,820,189

სრულად გაცვეთილი აქტივები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განისაზღვრებოდა შესაბამისად, 357,362 და 137,731 ლარით.

5. მარაგები

მარაგები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენიარად:

	31.12.2017	31.12.2016
სათადარიგო ნაწილები	857,441	763,908
სხვა	9,151	4,318
სულ	866,592	768,226

შპს „ვერო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენიარად:

	31.12.2017	31.12.2016
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები სხვა მხარისგან	4,668,232	3,004,016
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებული მხარისგან	120,671	297,619
სულ ფინანსური მოთხოვნები	4,788,903	3,301,635
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	67,077	31,008
სულ არაფინანსური მოთხოვნები	67,077	31,008
სულ მოთხოვნები	4,855,980	3,332,643

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში ფინანსური მოთხოვნების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლე ვადის გამო. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში ფინანსური მოთხოვნები ვალუტის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 13.

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენიარად:

	31.12.2017	31.12.2016
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	77,255	399,242
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	241	788
ფული სალაროში	58,818	22,832
სულ	136,314	422,862

დამატებითი ინფორმაცია უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრების შესახებ იხილეთ მე-13 შენიშვნაში.

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენიარად:

	31.12.2017	31.12.2016
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებული მხარის მიმართ	29,982,366	26,994,615
სავაჭრო ვალდებულებები სხვა მხარის მიმართ	2,029,812	3,000
სულ ფინანსური ვალდებულებები	32,012,178	26,997,615
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	402,170	-
საგადასახადო ვალდებულებები	262,182	135,711
სახელფასო ვალდებულება	44,868	-
სულ არაფინანსური ვალდებულებები	709,220	135,711
სულ ვალდებულებები	32,721,398	27,133,326

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლე ვადის გამო. სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ფინანსური ვალდებულების ვალუტის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 13.

შპს „ერო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

9. შემოსავალი

შემოსავალი 2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2017	2016
სათამაშო აპარატების გაქირავება	14,784,976	10,385,137
თამაშების პროგრამული უზრუნველყოფიდან მიღებული საკომისო შემოსავალი *	1,684,474	1,177,290
სათამაშო პროდუქციის რეალიზაცია	404,250	375,663
სხვა	189,645	67,989
სულ	17,063,345	12,006,079

*კომპანია ახორციელებს თამაშების პროგრამული უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ მომსახურებას. აღნიშნული ოპერაციიდან მიღებულ შემოსავალს წარმოადგენს მხოლოდ საკომისიო შემოსავალი. მთლიანი თანხები ამ ოპერაციიდან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
მთლიანი შემოსავალი პროგრამული უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მომსახურებიდან	18,570,719	9,525,752
პროგრამული უზრუნველყოფის თვითღირებულება	(16,886,245)	(8,348,462)
სულ	1,684,474	1,177,290

10. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი 2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2017	2016
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული მოგება	684,678	266,965
სხვა	50,570	76,205
სულ	735,248	343,170

11. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2017	2016
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	(441,051)	(264,531)
საიჯარო ქირა	(136,353)	(95,310)
სათამაშო აპარატების ლიცენზიის გადასახადი	(128,889)	(118,245)
მივლინება	(81,413)	(70,523)
ოფისის ხარჯი	(52,168)	(30,728)
შეკეთების ხარჯი	(46,638)	(31,290)
საკონსულტაციო ხარჯი	(39,388)	(37,516)
დაზღვევა	(29,723)	(20,785)
კომუნალური გადასახადები	(24,375)	(24,711)
საბანკო მომსახურების საკომისო	(21,951)	(52,970)
სხვა ხარჯი	(120,281)	(64,807)
სულ	(1,122,230)	(811,416)

შპს „ვერო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

12. ზარალი საკურსო სხვაობიდან

ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან 2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდგენილი:

	2017	2016
რეალიზებული საკურსო სხვაობა	81,279	164,558
არარეალიზებული საკურსო სხვაობა	2,829,924	2,028,306
სულ	2,911,203	2,192,864

13. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებიდან გამომდინარეობს შემდეგი ფინანსური რისკები:

- საკრედიტო რისკი;
- საბაზრო რისკი;
- საპროცენტი რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი;

სხვა ბიზნესების მსგავსად კომპანიში არის რისკები რომელიც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის გამოყენებისას. ამ შენიშვნაში აღწერილია კომპანიის მიზნები, პოლიტიკა და პროცესები რისკების აღმოსაფხვრელად და მათი შეფასების მეთოდები. უფრო დაწვრილებით ინფორმაცია ამ რისკებთან დაკავშირებით მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს ფულს და ფულის ეკვივალენტებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,788,903	3,301,635
ფული და ფულის ეკვივალენტები	77,496	400,030
გაცემული სესხი	30,000	70,000
სულ ფინანსური აქტივები	4,896,399	3,771,665
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	32,012,178	26,997,615
სულ ფინანსური ვალდებულებები	32,012,178	26,997,615

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის მიზნების და პოლიტიკის შემუშავებაზე. ინარჩუნებს რა საბოლოო პასუხისმგებლობას ამ საკითხებზე, მენეჯმენტმა მოახდინა უფლებამოსილების დელეგირება იმ პროცესების შემუშავებასა და წარმართვაზე, რომელიც კომპანიის ფინანსური ფუნქციის მიზნების და პოლიტიკის ეფექტურ განხორციელებას უზრუნველყოფს.

მენეჯმენტის მთავარი მიზანია პოლიტიკის დადგენა, რომელიც შეამცირებს რისკს მაქსიმალურად კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე ზეგავლენის გარეშე. დამატებითი დეტალები პოლიტიკასთან დაკავშირებით მითითებულია ქვემოთ.

შპს „ერო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

13. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ძირითადად, კომპანიის საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ფული და ფულადი ეკვივალენტებთან (საღარიბო არსებული ფულის გარდა) და სავაჭრო მოთხოვნებთან.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,788,903	3,301,635
ფული და ფულის ეკვივალენტები	77,496	400,030
გაცემული სესხი	30,000	70,000
სულ ფინანსური აქტივები	4,896,399	3,771,665

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავს მხოლოდ მიმდინარე და არაგაუფასურებულ მოთხოვნებს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში გამოხატული საპროცენტო და სასაქონლო ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მერყეობაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური

აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების მერყეობის რისკი უცხოურ ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო.

სავალუტო რისკის ანალიზი 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017		2016	
	აშშ დოლარი	ევრო	აშშ დოლარი	ევრო
	აშშ დოლარი 1 = 2.5922 GEL	ევრო 1 = 3.1044 GEL	აშშ დოლარი 1 = 2.6468 GEL	ევრო 1 = 2.794 GEL
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	241	-	738	50
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	164,226	-	336,819
გაცემული სესხი	-	30,000	-	70,000
სულ ფინანსური აქტივები	241	194,226	738	406,869

შპს „ერო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

13. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა (გაგრძელება)

	2017		2016	
	აშშ დოლარი	ევრო	აშშ დოლარი	ევრო
	აშშ დოლარი 1 = 2.5922 GEL	ევრო 1 = 3.1044 GEL	აშშ დოლარი 1 = 2.6468 GEL	ევრო 1 = 2.794 GEL
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	451	32,005,729	-	26,995,077
სულ ფინანსური ვალდებულებები	451	32,005,729	-	26,995,077
ღია სავალუტო პოზიცია	(210)	(31,811,503)	738	(26,588,208)

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას აშშ დოლარისა და ევროს ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას მენეჯმენტის მიერ.

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის:

	ლარი/დოლარი + 20%	ლარი/დოლარი - 20%	ლარი/ევრო + 20%	ლარი/ევრო - 20%
მოგება/(ზარალი)	(42)	42	(6,362,301)	6,362,301

2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის:

	ლარი/დოლარი + 20%	ლარი/დოლარი - 20%	ლარი/ევრო + 20%	ლარი/ევრო - 20%
მოგება/(ზარალი)	147	(147)	(5,317,642)	5,317,642

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ყოველივე ამან შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობაზე და მისი საქმიანობის შედეგებზე. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას.

წმინდა ლიკვიდურობის ანალიზი 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,788,903	3,301,635
ფული და ფულის ეკვივალენტები	77,496	400,030
გაცემული სესხი	30,000	70,000
სულ ფინანსური აქტივები	4,896,399	3,771,665
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	32,012,178	26,997,615
სულ ფინანსური ვალდებულებები	32,012,178	26,997,615
(დეფიციტი)/პროფიციტი	(27,115,779)	(23,225,950)

შპს „ევრო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

13. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა (გაგრძელება)

ინფორმაცია კაპიტალის შესახებ

კომპანიის მიზნები კაპიტალის შენარჩუნებისას არის დაიცვას კომპანიის უწყვეტი ფუნქციონირების უნარი, რათა შეძლოს მომავალში მეწილეებზე დივიდენდების გაცემა და შესთავაზოს მეწილეებს ადეკვატური დივიდენდი სერვისების ღირებულების განსაზღვრით რისკის კანონზომიერი შეფარდებით. კომპანია ადგენს აუცილებელი კაპიტალის რაოდენობას რისკის პროპორციულად; მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას მასში შემავალი აქტივების რისკის მახასიათებლებების და ეკონომიკური პირობების ცვლილებების გათვალისწინებით.

14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

- ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.
- ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;
- გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

		2017		2016	
ურთიერთობა		ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	შესაბამისი მუხლის მთლიანი თანხა ბალანსში	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	შესაბამისი მუხლის მთლიანი თანხა ბალანსში
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		120,671	4,855,980	297,619	3,332,643
შპს ევრო გეიმს ტექნოლოჯი ბულგარეთი	დამფუძნებელი	113,407		297,619	
EGT Multiplayer Solutions LTD	სხვა	7,264		-	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		29,982,366	32,721,398	25,894,531	27,133,326
შპს ევრო გეიმს ტექნოლოჯი ბულგარეთი	დამფუძნებელი	29,741,880		25,894,531	
Euro Games Technology Romania	სხვა	126,047		-	
EGT Multiplayer Solutions LTD	სხვა	114,439		-	

შპს „ვერო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

	ურთიერთობა	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	შესაბამისი მუხლის მთლიანი თანხა მოგება/ზარალში	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	შესაბამისი მუხლის მთლიანი თანხა მოგება/ზარალში
შემოსავალი		375,903	17,063,345	102,567	12,006,079
შპს ვერო გეიმს ტექნოლოჯი ბულგარეთი	დამფუძნებელი	375,903		102,567	
სხვა საოპერაციო ხარჯები		(142,290)	(1,122,230)	(135,551)	(811,416)
შპს ვერო გეიმს ტექნოლოჯი ბულგარეთი	დამფუძნებელი	(142,290)		(135,551)	
მარაგის შესყიდვა		(437,631)	(576,660)	(335,666)	(578,603)
შპს ვერო გეიმს ტექნოლოჯი ბულგარეთი	დამფუძნებელი	(437,631)		(335,666)	
მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება		37,500	(646,648)	-	(403,630)
შრომითი ანაზღაურება	დირექტორი	37,500		-	

კომპანიის მიერ დედა კომპანიისაგან შესყიდული ძირითადი საშუალებები 2017 და 2016 წლებში შეადგენს 17,110,885 და 20,082,038 ლარს, შესაბამისად.

კომპანიის მიერ პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების თვითღირებულება 2017 და 2016 წლისათვის, რომელიც დაკავშირებულია პროგრამული უზრუნველყოფის რეალიზაციიდან საკომისიო შემოსვლის მიღებასთან, წარმოადგენს 16,886,245 და 8,348,462 ლარს, შესაბამისად.

15. პირობითი ვალდებულებები

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომავალში გადასახდელი საიჯარო ქირა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016
1 წლის განმავლობაში	231,743	6,955
1 დან 5 წლამდე	476,191	-
5 წლის ზემოთ	110,687	-

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციისაგან, ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფს მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

16. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს.